№ 67

ოთხშაბათი, 4 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 67

ოთხშაბათი, 4 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

უკვე მოგვივიდა საზღვარ-გარეთიდან გამოწერილი ახალი საბეჭდავი მანქანა, რომლის გამართვასაც სულ რამდენიმე დღე მოუნდება. ამ მანქანის გამართვის შემდეგ, გაზეთი წესიერად დაიბეჭდება და სტამბის მიზეზით იძულებული აღარ ვიქნებით, როგორც რამდენჯერმე წინად და დღესაც, მთელის მაგივრად ნახევარი ნომერი გამოვცეთ. დანაკლისსაც შევუვსებთ ჩვენს ხელის-მომწერლებს ამ ცოტა ხანში, როცა სტამბის მხრით დაბრკოლება აღარ გვექნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინანძღოლის თანამდებობის აღმასრულებელისაგან.

მისის ბრწყინვალების კავკასიის ნამესტნიკის წინაშე წარსადგომად 6 მაისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურნი შეიკრიბებიან ნამესტნიკის სასახლეში, ნაშუადღევის 2 საათზე.

ტანისამოსის ფორმა: სამსახურში მყოფთათვის—საზაფხულო სადღესასწაულო, ხოლო არა სამსახურის კაცთათვის—ეროვნული ტანისამოსი და ფრაკი.

(1—6—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს აექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

ირჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 აათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 მაისი.

პეტერბურგი. 1 მაისს მთელის დღის განმავლობაში პეტერბურგში წეს-რიგი არაფრით არ დარღვეულა. სეირნობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ ზოგან რამდენიმე კაცმა მოინდომა არეულობის გამოწვევა, მაგრამ პოლიციელებმა და სამხედრო დარაჯებმა იქვე სათავეში მოსპეს თუმცა იარაღი არ უხმარიათ. ამასთანა შემთხვევა იყო შემდეგს ადგილებში: ვასილიევის კუნძულის დიდს პროსპექტზე შეიყარა ორი ჯგუფი სხვადასხვა ჯურის ხალხისა, მომეტებულად ებრაელებისა, ერთში—40 და მეორეში—100-მდე კაცი. ესენი ცდილობდნენ სარევოლუციო სიმღერები ემღერათ. დატუსაღებულია 14 კაცი, მათ შორის 6 ებრაელი. პრეობრაჟენის სასაფლაოზე 400-მდე კაცმა თავი მოიყარა, მომეტებულად მოწაფეებმა და ებრაელებმა. შეიპყრეს 12, მათ შორის 5 ებრაელი. ბოროვისა და გლაზოვის ქუჩების შესართავში დადიოდა დიდი ჯგუფი მოსწავლე ახალგაზრდობისა და, როგორც ეტყობოდა, რაღასაც ელოდა.

ბერდიანსკი, 1 მაისი. დღემ და ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ბევრი წავიდა ქალაქიდან.

კოპენჰაგენი. შვეციაში ხალხი ძალიან აღელვებულია ნორვეგიის სესხის გამო, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, შვეციასთან ომისთვის არის აღებული. შვეციის პარლამენტის ერთმა ცნობილმა წევრმა სთქვა, ნორვეგიას აქვს 70 მილიონი კრონი შვეციის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისათვის; ნორვეგია, როგორც ეტყობა, ომისთვის ემზადება, მაგრამ უეჭველად შვეციის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს და ამ განხეთქილებას თავიდან აცილებსო.

სიბირსკი. საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრებამ დაადგინა, სახელმწიფოს მოწესრიგების შესახებ საკითხზე მსჯელობა იქონიოს და ამ საკითხის შესამუშავებლად კომისია ამოირჩია.

სოფია. მთავრობამ ცნობა მიიღო, სალონიკში ბულგარიის გიმნაზიის დირექტორი ჩენგელოვი, ერთმა ბერძენმა დანით მძიმედ დასჭრაო.

მოსკოვი. გუშინ, პეტრეს ბაღში, ღამე ერთმა ქურდბაცაცამ ერთს ქალს ხელი ჰკრა. ქალთან მყოფმა კაცმა იმას ჯოხი დაჰკრა. ასზე მეტმა კაცმა დაიძახა: „გვცემენ, დაჰკათ მაგათაო“. გარს შემოერტყნენ და მოსიარულე ხალხს ძვირფასი ნივთები ერთიანად წაართვეს. როგორც ჰფიქრობენ, ის ქალი და კაცი იმ ქურდების ამხანაგები იყვნენო.—მოსკოვში არსდება ერობის მოსამსახურეთა და ყოფილ მოსამსახურეთა კავშირი. მათი მიზანია — საკურორტო სანატორიები, საზაფხულო ახალშენები, ბავშვთა განათლებას ხელი შეუწყონ და იაფ-ფასიანი სადგომები გამართონ.

3 მაისი.

ორიოლი. 2 მაისს, ღამის სამს საათზე, კურაკინოსა და ზმიევკას შუა, მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე, საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა და 10 ვაგონი დაიმსხვრა. მატარებლების მომოსვლა შეჩერდა. არავინ არ დაშავებულია.

ბაქო. სპარსეთის კონსული სთხოვს გაზეთ „კასპი“-ის, დაბეჭდოს, რომ თეირანიდან იმან მიიღო ოფიციალური დეპეშა, რომელიც უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომ ბელიასუვარის საზღვარზე სადარაჯო რაზმსა და სპარსეთის თათრებს შეტაკება ჰქონოდეთ. სარდარი ნასრუს-სულთანი თეირანში გაიწვიეს სპარსეთის ჯარის შესადგენად. დღეს, გარდა ნობელისა, ყველა ქარხნები მუშაობენ; გაზეთები ხვალ გამოვლენ.

ნიუ-იორკი. მანილიდან დეპეშებით იუწყებიან, ორის კვირის განმავლობაში გენერალმა ვუდმა აჯანყებულთა ნახევარი ნაწილი ამოჟლიტა, დანარჩენ 300 კაცს წრე შემოავლეს, მაგრამ დამორჩილებაზე უარს ამბობენ. ამერიკანელების 7 კაცი მოუკლეს, 17 დაუჭრეს.

მოსკოვი. ქალაქის მმართველობის დაბალ ხარისხის მოსამსახურეთ საერთო თხოვნა მისცეს ქალაქის მოურავს, ნება მოგვეცით კრებები გავმართოთ და ჩვენს საჭირ-ბოროტო საქმეებზე მსჯელობა გვქონითო.—მსახიობმა თავ. სუმბათაშვილმა სალიტერატურო-სამსატვრო საზოგადოებას წარუდგინა მისცა, დავაარსოთ სალიტერატურო სადრამატურგო თეატრი, სკოლა. და გაზეთიო. თეატრთა ანტრეპრენიორებმა სასახლის სამინისტროს უჩივლეს ზარალი, რომელიც მათ მოუვიდათ იმითი, რომ ამ სამინისტრომ აფიშების ბეჭდვა მონოპოლიათ გაიხადაო.

კამიშინი, 1 მაისი. გაიფიცნენ მუშები. მომეტებულ ნაწილად მხერხავ ქარხნებისა, და თხოულობენ ფასების მომატებას. პატრონებთან მოლაპარაკება არის გამართული.

სიმფეროპოლი, 3 მაისი. საჯარო ვაჭრობით გაიყიდა მეტალურგიული ქარხანა, 17 მილიონად და ფასებული. შეისყიდა ბრიანსკის ქარხნებმა ექვსიათას თუმნად.

დონის-როსტოვი, 2 მაისი. კავკასიის ნამესტნიკს მიეგება ნახიჩევანში სომხების დეპუტაცია. ქალაქის მოურავმა პურ-მარილი მიართვა. მისაგებებელ სიტყვის საპასუხოდ ნამესტნიკმა სთქვა, რომ კავკასიის ერები ისარგებლებენ თანაბარის უფლებით და სთხოვა საზოგადოების წარმომადგენელთა—დაეხმარეთ წესიერების აღსადგენადო. ნამესტნიკის მეუღლეს ყვავილები მიართვეს.

მოსკოვი, 2 მაისი. დილის ოთხს საათზე „აკვარიუმის“ ბაღში, სადაც ჰაერსტატია დაბმული, საშინელი აფეთქება მოხდა.

ბერლინი, 2 მაისი. პროფესორი გაგი შეუდგა კისრის „კონტრაქტურის“ გამოკვლევას. ამ სენმა დღემდე ათას ასი კაცი იმსხვერპლა, მომეტებულად ბავშვები. ბერლინში იშვიათია მსხვერპლი ამ სენისა.

შანხაი, 2 მაისი. კანტონისა და გუტჟუსის მოვაჭრენი მიემხრნენ შანხაელებს—ბოიკოტი გამოუცხადონ ამერიკულ საქონელს, სანამ შეერთებული შტატები არ შესცვლის კანონს, რომელიც ჰკრძალავს ჩინელთა გადასახლებას. გადასწყვიტეს ჩინელ მუშათა გაფიცვას შეუერთდნენ.

ლონდონი, 2 მაისი. (რეიტერი) საზოგადოებათა პალატაში ბროდრიკმა, შეკითხვის პასუხად, განაცხადა, რომ ჩინეთთან მოლაპარაკება თიბეტის კონვენციის შემოერთებაზე ისევ სწარმოებსო.

პეტერბურგი, 2 მაისი. ჩვენ შევიტყეთ, რომ გერმანიის საელჩომ აცნობა რუსეთის მთავრობას: ზოგიერთ გერმანულ გაზეთებში მოყვანილი სიტყვა იმპერატორის ვილჰელმისა სტრასბურგში, სწორე არ არის, დამახინჯებულია დაზოგიც შეთხზულიაო. პირველი სხდომა გაძლიერებულ დაცვის შესახებ დებულებათა განმხილველის კომისიისა მოხდება 5 მაისს. დღეს დაიწყო კრება ქალაქის საკრედიტო საზოგადოებათა წარმომადგენლებისა.

პარიზი, 2 მაისი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, დეპუტაცია გაიგზავნოს ბერლინში კრონპრინცის ქორწინებაზე დასასწრებლად. მოითხოვონ, რომ პრესანსეს შეკითხვა გარეშე პოლიტიკაზე გადაიდოს.

პარიზი, 2 მაისი. ამ ხმების წინააღმდეგ, ვითომც „ყვითელ წიგნში“ საზღვაო საქმეთა და საფრანგეთისა და იაპონიის შორის აზრთა გაზიარება არ გამომჟღავნდებაო, დუმერმა აცნობა პალატას, —რამდენიმე განცხადება მიიღე ვალიანის მომავალ შეკითხვის თაობაზედ, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის ნეიტრალიტეტს ეხება, პრესსანსეგან—საფრანგეთის ნეიტრალიტეტისა და მაროკოში დამკვიდრების შესახებ. შემდეგ რუვიემ განაცხადა, რომ მთავრობამ ამ ცოტა ხანში ვალიანისა და პრესანსესმიერ აღძრულ საკითხებზე პასუხი გასცესო. ახლა საჭიროა მხოლოდ განვიმეორო, რომ მიწერილობა აქვს საფრანგეთის ადმინისტრაციას, იზრუნოს ნეიტრალიტეტის სასტიკად დაცვაზეო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

2 მაისი

ტოკიო. საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახებ პროგრესსიულ დასების წარმომადგენელთ ლაპარაკი ჰქონდათ გარეშე საქმეთა სამინისტროს წევრებთან. იმათ განაცხადეს, ჩვენს დასს არ შეუძლიან ამ დროს ხმა არ ამოიღოსო. ამის პასუხად მინისტრის ამხანაგმა წაუკითხა მათ საფრანგეთის პასუხი და დაუმატა: „ჩვენის აზრით, საფრანგეთი მომავალში მტკიცედ დაიცავს ნეიტრალიტეტს. ბრიტანიის მთავრობა ჩვენ დახმარებას გვიწევს და, რაც კი მას მოვალეობად აწევს, როგორც მოკავშირე სახელმწიფოს, ყველაფერს გვისრულებს. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, ვითომც საფრანგეთი მეომართა საქმეში ჩარეულიყვეს“. ამის შემდეგ დეპუტაცია პირველ მინისტრთან წავიდა. ბოლოს დეპუტატებმა განაცხადეს, იაპონიის მთავრობის მოქმედებით ჩვენ სრულიად დავკმაყოფილდითო. უმაღლეს წრეებში ჰფიქრობენ, კრიზისმა გაიარაო, მაგრამ იაპონიის ხალხი ამგვარ ინციდენტის განმეორებას გულგრილად აღარ შეხედაო.

პარიზი გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ში გამოქვეყნებულია დეპეშა სეულიდან, რომლიდანაც სჩანს, რომ ამ ცოტა ხანში იაპონელებს გენზანში გადაუსხავთ 30,000 კაცი. პუჩკანში, ხამხინხის ჩრდილოეთით, გადაუზიდავთ აუარებელი სამხედრო სურსათი. ეს იმას ნიშნავს, რომ იაპონელები ვლადივოსტოკისაკენ აპირებენ წასვლას.

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ საიგონიდან ნახშირის გატანა აღკრძალა, სანამ რუსის ფლოტი ინდოეთ-ჩინეთის წყლებში იქნება.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენერალ ლინევიჩისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე: 1) 1905 წლის 30 აპრილის თარიღით: „26 აპრილს ერთმა ჩვენმა რაზმმა შიმიაძისკენ წინ გაილაშქრა და 12 საათზე მტერს შეებრძოლა. მეორე რაზმს, რომელიც ნარშანჩენძიდან შიმიაძისკენ მიდიოდა, მტერი თოფის სროლით შეხვდა. ბრძოლა მოუხდათ. შუადღის დროს იაპონელებს არტილერია მიეშველა. ჩვენმა რაზმებმა მტერი დაზვერეს და უკან წამოვიდნენ“. 2) 1 მაისის თარიღით: „29 აპრილს ერდაგოუში გაიგზავნა ერთი რაზმი ესაულ შჩერბაკოვის უფროსობით. ამ რაზმს მტერმა, რიცხვით 700 კაცმა, გვერდიდან მოუარა, ისე რომ შჩერბაკოვი იძულებული გახდა ლიუდიაგოხისკენ დაეხია, მაგრამ მას მიეშველა მეორე რაზმი ესაულ ტირენცას უფროსობით და მტერი იძულებული გახადეს ერდაგოუ დაეცალათ და სამხრეთ-ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ“.

ვაშინგტონი, 1 მაისი. საფრანგეთის თავის გამართლებას ნეიტრალიტეტის შესახებ აქ მნიშვნელობას არ აძლევენ. საფრანგეთის მთავრობამ შორეულ აღმოსავლეთის ფრანგ მოხელეებს ინსტრუქციები გაუგზავნა მხოლოდ მაშინ, როდესაც იაპონიისაგან პროტესტი მიიღო, და ეს ბრძანება მაშინაც კი არ შეასრულესო. ამერიკელ მეზღვაურების აზრით, ადმ. როჟესტვენსკი საფრანგეთის დაუხმარებლად თავის დღეში ვერ მიაღწევდა ჩინეთის ზღვას. ამ ფაქტის შესახებ საფრანგეთის განმარტება კაცს ვერ აკმაყოფილებსო.

ბერლინი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონელები საიდუმლოდ აშენებენ რკინის გზას ტოკიოსა და კობეს შუა, რადგან ზღვის გზას, შეიძლება, მტერი დაეცესო. კორესპონდენტს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ იაპონელებს რუსის ესკადრისა ძალიან ეშინიანთ, თუმცა ამას ძალიან მალავენო.

ჩიფუ, 2 მაისი. ნიუ-ჩუანიდან მოსულმა გემმა ამბავი მოიტანა, რომ პეჩილიის ყურეში „შეიცმარუს“-თან ერთად დაიღუპა მეორე ტრანსპორტის გემიც იაპონელებისა, რადგან ნაღმს წააწყდა.

ტოკიო, 2 მაისი. (რეიტერი). აქ ნამდვილად ცნობილია, რომ რუსეთის ესკადრა გამოვიდა ხონკოს ნავთსადგურიდან 25 აპრილს და შემდეგ ისევ დაბრუნდა. ახლა იქავე ჩაუშვეს ღუზა.

სინგაპური, 2 მაისი. გემი „იაზონი“ იუწყება, რომ 29 აპრილს ვერელლას მახლობლად უნახავს რუსის 13 სამხედრო გემი.

გოძიადანი, 2 მაისი. მონგოლიის საზღვარზე ქალაქი ტენზიატუნი დაიჭირეს ხუნხუზების შვიდათასიანმა რაზმმა, რომელთაც აგრეთვე დაიჭირეს დუნლიაოხეს ფონი. ცხენოსან ჯარის მარცხენა ფლანგს განუწყვეტელი შეტაკება აქვს ხუნხუზებთან, რომელთაც იაპონელები ჰხელმძღვანელობენ. 28 აპრილს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა უკან დაახევინა იაპონიის საყარაულოსა და მოწინავე რაზმს, სროლა აუტეხა მოახლოვებულს ქვეითა ჯარს და უკანვე გაბრუნდა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-2 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიისა და ჩინეთის ხელშეკრულობა. „პეტ. ლ.“-ს კორესპონდენტის სიტყვით, 1903 წ. 14 დეკემბერს ჩინეთმა და იაპონიამ შემდეგი ხელშეკრულობა დასდეს: 1) იაპონია და ჩინეთი ამ პირობებს 300 (?) წლის ვადით სდებენ; 2) იაპონიაცა და ჩინეთიც მოვალენი არიან ევროპის წინააღმდეგ იმოქმედონ; 3) იაპონია მოვალეა ჩინეთის ტახტზე ეხლანდელ ხელმწიფის საგვარეულო დასტოვოს; 4) იაპონია მოვალეა რუსეთს ომი გამოუცხადოს, მანჯურია წაართვა და ჩინეთს დაუბრუნოს; 5) ჩინეთმა ხელი არ უნდა შეუშალოს იაპონიას კორეის შემოერთებაში; 6) იაპონია მოვალეა თავის აფიცრებით ჩინეთს ჯარი გაუწვრთნას; 7) ჩინეთი მოვალეა იმდენი ჯარი შეინახოს, რომ 12 წლის შემდეგ 6 მილიონი სალდათი ჰყავდეს; 8) ჩინეთი მოვალეა იაპონიას ჯარის შედგენისთვის თვეში თითო კაცზე 3 ლანი გადაუხადოს, ობერ-აფიცერზე—36 ლანი, შტაბ-აფიცერზე—46; 9) თორმეტის წლის შემდეგ ჩინეთი მოვალეა იაპონიასთან ერთად რუსეთს ომი გამოუცხადოს. იაპონიამ თავის მხრივ ბრძოლის ველზე 1.200,000 კაცი გაიყვანოს; 10) რუსეთის დამარცხების შემდეგ იაპონია პრიამურის ოლქსა და კამჩატკას დაისაკუთრებს; 11) ჩინეთსა და იაპონიას მიზნად აღმოსავლეთ-ციმბირის დაპყრობა აქვთ. ჩინეთმა და იაპონიამ ორი რკინის გზა უნდა ააშენონ: ერთი პეკინიდან კიახტამდის, მეორე—ტიანძინიდან ხაილარამდე; 12) ომის ხარჯი ასე უნდა განაწილდეს: ჩინეთმა უნდა გადაიხადოს 70%, იაპონიამ—30%.

ეს ხელშეკრულობა ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როცა იაპონია რუსეთს დაამარცხებს და მანჯურიას წაართმევს (რ. ვ).

როჟესტვენსკის ესკადრა და საფრანგეთის ნეიტრალიტეტი. „ლაფანის სააგენტოს“ კორესპონდენტს ევროპაში დეპეშა უნდა გამოეგზავნა როჟესტვენსკის-მიერ საფრანგეთის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ. ეს დეპეშა კორესპონდენტმა საიგონში მიიტანა, მაგრამ საფრანგეთის იქაურმა მთავრობამ გაგზავნის ნება არ მისცა. კორესპონდენტი ჰონკონგში წავიდა და დეპეშაც იქიდან გამოგზავნა. ეს დეპეშა მთელი საბრალდებო ოქმი იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ამის მიუხედავად საფრანგეთის გაზეთებმა ეს ცნობები მთელს ქვეყანას მოჰფინეს და ამით იაპონიას ხელი შეუწყეს. კორესპონდენტი იწერება, ჩემის თვალით ვნახე და მტკიცედ დავრწმუნდი, რომ როჟესტვენსკის ესკადრა ფრანგების დაუხმარებლად ისეთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რომ, იქნება, ჩინეთის ზღვის იქით ვეღარც კი წასულიყო. გერმანიის გემები როჟესტვენსკს საიგონიდან აუარებელ სურსათსა და ნახშირს უზიდავდნენ. საფრანგეთის მთავრობა ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებდა. სურსათის ზიდავს „დიანა“-ს კაპიტანი ადევნებდა თვალ-ყურს.

მანჯურიაში. შარშან ამ დროს მთელს მანჯურიაში ყანები ამოსული იყო. წელს კი ჩინელებს მუშაობაც არ დაუწყიათ და არც აპირობენ დაწყებას, რადგან, სულ ერთია, ჯარი გააფუჭებს, წაგვართმევს და შრომა ტყუილად დაგვეკარგებაო. იმ ადგილებში, რომელიც იაპონელებს უჭირავთ, ჩინელები მუშაობას შეუდგნენ, იქ კი, სადაც რუსები არიან, ჩინელები ხელსაც არ ანძრევენ. გენ. ლინევიჩს ბრძანება გაუცია, მუშაობა დაიწყეთ, მინდვრები შეიმუშავეთ და ნუ გეშინიანთ, თუ ჯარმა რამე წაახდინოს, გიზღავთო. მაგრამ ჩინელები ამას არ უჯერებენ, შარშანაც დაგვპირდით გიზღავთო, მაგრამ ყველაფერი აოხრეთ და ჩვენც მშივრები დაგტოვეთო (რ. ს.).

ახალი ამბავი

შაბათს, 30 აპრილს, ჩვენის რედაქციის ბინაზე მოხდა **ქართველ ჟურნალისტების კრება.** სულ დაესწრო კრებას 40-ზე მეტი თანამშრომელი ქართულ გაზეთებისა და ქართველი ლიტერატორები. კრებამ მოისმინა ანგარიში სრულიად-რუსეთის ჟურნალისტების კრებისა და ვადასწყვიტა ქართველ ჟურნალისტების კავშირის დაარსება. კავშირის „პლატფორმად“ კრებამ მიიღო რუსეთის ჟურნალისტების რეზოლუცია დემოკრატიულ წარმომადგენლობითი წესწყობილებისა და ეროვნულ ავტონომიების შესახებ. ქართველ ჟურნალისტების კავშირი ავტონომიურად შეუერთდება სრულიად-რუსეთის ჟურნალისტთა კავშირს. კრების დასასრულ არჩეულ იქმნა კავშირის ბიურო, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, ვინ მოისურვებს ქართველ ჟურნალისტთა კავშირში შესვლას, და აგრეთვე დამოკიდებულება ექნება პეტერბურგში დაწესებულ ბიუროსთან. ჩვენის ბიუროს წევრებად აირჩიეს გ. მ. ლასხიშვილი, პ. რ. სურგულაძე, გრ. ს. რცხილაძე, ი. ი. ზურაბიშვილი და ფ. გ. გოგიჩაიშვილი.

◆ გუშინ, 3 მაისს, **ნამესტნიკის შესახვედრად ბალაჯარაში წავიდნენ** ნამესტნიკის თანაშემწე გენერალ-მაიორი შირინკინი, ჟანდარმთა უფროსი სოლოვიოვი და „ტიფლის“ უფროსი ვარტენბურგი.

◆ **ნამესტნიკის მარშრუტი ასე გამოიცვალა:** 4 მაისს ნამესტნიკი ღამეს გაათევს განჯაში კი არა, სად. ქურდამირში, ხოლო განჯაში იქნება 5 მაისს, დილის 8 საათზე, და მიიღებს სომხებისა და თათრების სამღვდელოებათა დეპუტაციას.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ: 1 მაისს, **საურთიერთო ბანკის წევრთა კრებაზე,** 117 ხმით, წინააღმდეგ 46-ისა, გადასწყვიტეს, სისხლის სამართალში მისცენ ძველი გამგეობა ბანკისა, საბჭო და სარევიზიო კომისია. ამის გამო ბანკის ახალმა თავმჯდომარემ სამსახურს თავი დაანება; აგრეთვე თავი დაანება სამსახურს საბჭოს სამმა წევრმა. ამ გარემოებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ახალი არჩევნები 8 მაისისთვის არის დანიშნული.

◆ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ სასტრედიიდან ქუთაისში მიუყვანიათ 15 **ადმინისტრაციისაგან დაჭერილი კაცი,** რომელთა შორის თურმე ერთი მღვდელია და ერთიც დედაკაცი.

◆ მიწის მზომელთა სასწავლებლის მოწაფეებმა, მმიჯნავთა გამგეობის უფროსის მოწერილობაზე—15 კაცმა 18-ის წინააღმდეგ, გამოაცხადეს სწავლის თანხმობა მხოლოდ იმ პირობით,

თუ რუსეთში წასული ამხანაგებიც ხმის უმეტესობით შეუერთდებიან. **უმცირესობა.** (23 კაცი) ყოველ დღე **სასწავლებელში დაიარება წიგნებით ხელში,** მაგრამ სასწავლებლის მთავრობა ჯერ-ჯერობით **სწავლის განახლებას ვერ ბედავს.**

✦ 27 აპრილიდან **ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლენი** გაიფიცნენ. მოსწავლენი თხოულობენ იმ 45 მოწაფის უკანვე დაბრუნებას, რომელნიც წინა გაფიცვისათვის იქმნენ დათხოვნილი. გაფიცულთ სასწავლებლის მთავრობამ რამდენჯერმე წინადადება მისცა, სწავლა განაახლეთო, მაგრამ მოსწავლეებმა გადაჭრით სთქვეს უარი. სასწავლებლის გამგეობას ამ დღეებში სჯა-ბაასი ექმნება ამ საგნის თაობაზე.

✦ სამკურნალო გამგეობამ დაავალა გუბერნიის ექიმის თანაშემწეს ბ-ნ მაჭავარიანს—წასულიყო ცხინვალში და ადგილობრივ გამოერკვია **მიზეზები ცხინვალის ქსენონის გამგე-ექიმის გამოძევებისა.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ცხინვალელები პირადად ექიმის წინააღმდეგნი ყოფილან, თორემ ქსენონი და ექიმი ყოველთვის გვქირიაო.

✦ **ტფილისის ვაჭრებს ამ დღეებში კრება ჰქონდათ** იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ მიეგებონ კავკასიის ნამესტნიკს ვორონცოვ-დაშკოვს. გადასწყვიტეს ამოარჩიონ წარმომადგენელნი, რომელთაც ნამესტნიკს მისალოცი ადრესი უნდა წაუკითხონ. ამავე საგნის დაწვრილებით გამოსარკვევად, როგორც გადმოგვცეს, ვაჭრებს დღესაც ექმნებათ კრება.

✦ **სოფელ ალიდან** (გორის მაზრა) **გვწერენ:** აღდგომის წინა კვირას სურამის რაიონის ბოქაული ლ. უზნაძე კაზაკთა **რაზმით** მოვიდა სოფელში. მოსვლის მიზეზი ის ჭორები იყო, რომლითაც ერთობ აზვიადებენ გლეხთა აღელვებასა და ცუდ მოქმედებას. ბოქაული ერთს დღეს დარჩა, ხალხი დაიბარა და რა დარწმუნდა, რომ სოფელში მეტად მშვიდობიანი მოძრაობაა, მეორე დღესვე სოფელს განშორდა.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა-მიერ პეტერბურგს მინისტრთა კომიტეტში გაგზავნილ დეპეშა-პეტიციის გამო **ტფილისში მიიღეს შემდეგი დეპეშა პროვინციელ თანამოსამსახურე ამხანაგებისაგან:** სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მსახური მოხელენი, დიდად ვაფასებთ თქვენს კეთილს დაწყებულებას და გთხოვთ თქვენს პეტიციას უმაღლეს მთავრობის მიმართ შეუერთოთ ჩვენი თანხმობაც ფოსტა-ტელეგრაფში მოსამსახურე მოხელეთა ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ხელმოწერილია ყველა მოხელეთაგან.

✦ როგორც თიანეთიდან გვწერენ, იქით **გლეხთა მოძრაობა გონიერ კალაპოტში ჩამდგარა.** როცა მოძრაობა პირველად დაწყებულა, გლეხებს ბევრი უწესოებანი ჩაუდენიათ, ახლა კი გლეხნი თვითვე იცავენ წესიერებას და უწესოების ჩამდენთ საჯაროდ სჯიან. სულიერი მდგომარეობა ხალხისა მტკიცეა.

✦ **დ. ხაშურის მცხოვრებთ დაუდგენიათ, დააჯარიმონ ყველა ის კაცნი,** რომელნიც დუქანში შევლენ და ერთ ჩარექა ღვინოზე მეტს დალევენ. თუ რომელიმე კაცი რამდენჯერმე იქმნა შენიშნული ლოთობაში, საზოგადოების წევრობიდან გამორიცხულ იქმნება და ჭირსა თუ ლხინში არავინ მიეკარება. ასეთი დადგენილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მთვრალი ხალხი ხშირად დადიოდა ხაშურში და ათასგვარ უწესოებას სჩადიოდა.

✦ პრიუტიდან (ტფილისის მაზრა) გვწერენ: **გლეხთა შორის დიდი მოძრაობა დაიწყო.** მამასახლისსა და სხვა მოხელეებს გლეხებმა წინადადება მისცეს, ნებით გაანებეთ თქვენს თანამდებობას თავი, თორემ ძალით გაგდევნით.

✦ ამჟამად **სასმელ-საჭმელის დუქნები და ბუფეტები კვირაობით იკეტება,** თანახმად მებუფეტეთა და მედუქნებთა საზოგადო ყრილობის დადგენილებისა. როგორც გავიგეთ, მედუქნეთ და მებუფეტეთ განუზრახავთ, ეს გადაწყვეტილება გააუქმონ, რადგან ზარალი მოსდით. კრების დანიშვნას მომავალ კვირისთვის აპირობენ.

✦ გუშინ, 3 მაისს, **საბჭოს დარბაზში მეეტლეებმა მოიყარეს თავი** და შემდეგი მოთხოვნილებანი წარადგინეს: მოგვეცეს თავისუფალი ნიხრი, როგორც ეს სხვა სატახტო ქალაქებშია; პირველ ხარისხის „ბლიახაზე" დაწესდეს 5 მანათი, ხოლო მესამეზე 3 მანათი; არ გამოგვერთოს გადასახადი ეტლში მობმულ მესამე და მეოთხე ცხენებზე, რადგანაც ეს ცხენები მაშველებლად გვყავს ხოლმე. რაღაც ათი წლის ვითომც და გადაუხდელი ხარჯები არა გვრწამს და არც გადვიხდით; გაგვანთავისუფლეთ მთვრალ, დაჭრილ, მოკლულ და ამგვარ კაცების გადატან-გადმოტანისაგან; ეტლების გადასახადი წელიწადში ორჯელ ვიხადოთ და, თუ ქალაქის მოურავი ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებებს არ დაგვიკმაყოფილებს, ერთხმად ვაცხადებთ, რომ 5 მაისიდან გაფიცვას მოვახდენთ და ნომრებს აღარ ავიღებთო.

✦ „ბირჟ. ვედომ."-ს ბაქოდან სწერენ: ქალაქი დიდს გაჭირვებაშია შეიძლება ვიფიქროთ, რომ **სომეხთა და მუსულმანთა შორის დამოკიდებულება ისევ ისე გამწვავებულია.** ყველგან ჯარებია. კაზაკები მუდამ ქალაქის ქუჩებში დადიან და იმედია, თუ არეულობა მოხდება, სათავეშივე ჩააქრობენ. პოლიტიკური აგიტაცია თანდათან ძლიერდება. მრავალს ატუსაღებენ. ლიტონიის დროს ტაძარში ერთმა 17 წლის ბიჭმა პროკლამაციები ხალხში გადაჰყარა. ხალხს შეეშინდა, დაფრთხა და მხოლოდ გენერალ-გუბერნატორის თავი. ამილახორის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ სისხლის ღვრა არ მოხდა.

საცოდავი ბიჭი კინაღამ შუაზე გაჰგლიჯეს. ის დაიჭირეს და პროკურორმა ჩვენება იქვე ჩამოართვა.

✦ პარასკევს, 6 აპრილს, საბჭოს დარბაზში **დანიშნულია კრება ტფილისის ფარმაცევტებისა,** თავიანთ საჭიროებათა გამოსარკვევად.

✦ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის მოსამსახურეებმა მოქალაქეთა საზოგადოების **მამასახლისს ვრცელი წერილი წარუდგინეს** თავიანთ მოთხოვნილებებით.

✦ **დღეს,** შუადღისას, **არამიანცის** ხარჯით **ახალ სავადმყოფოს** საძირკველს აკურთხებენ.

✦ **ტფილისის მაზრის რამდენსამე სოფელში საქონლის ჭირი აღმოჩნდა.** ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ სენის წინააღმდეგ მისაღებად მკურნალი გაჰგზავნა.

✦ 22 მაისს, **ვეტცელის თეატრში, ახალგაზ. და ქართველ მსახიობთა** მეთაურობითა და მონაწილეობით წარმოდგენა გაიმართება. წარმოდგენილ იქმნება ფოსის 3 მოქმედ. დრამა „დამნაშავეა?", თარგმანი ა. ნიკიტინისა. დრამის შემდეგ ვოდევილს დასდგამენ. დასასრულ დივერტისმენტიც იქნება.

✦ ტფილისის საგუბერნიო **საკრებულოს გამგეობა ამ დღეებში გორის მაზრის სოფლებში ექიმს ჰგზავნის** გადამდებ ავადმყოფობათა გამოსაკვლევად და მის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

✦ **ელიზავეტოგრადის ქალაქის გამგეობა შეეკითხა ტფილისისას,** იხდის თუ არა ტრამვაი საერიო გადასახადს და, თუ იხდის, რა საბუთით.

✦ გუშინ-წინ, 2 მაისს, ღამის **თავშესაფართა კომისიამ მოისმინა** პოლიცმეისტრის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის მეორე თავშესაფარს შიში მოელის, როგორც შენობის სიძველის მხრივ, ისე მის ეზოში მყოფ ნავთის რეზერვუარისგანაცაო. კომისიამ დაადგინა: დაჩქარდეს საკუთარ შენობის აგება თავშესაფარებისათვის და ნავთის რეზერვუარი დაუყოვნებლივ სხვა ადგილას იქმნეს გადატანილიო.

✦ სამშაბათს, 3 მაისს, პოლიციის პირველ უბანში შემდეგი გულ-შემზარავი ამბავი მოხდა. ფასანაურის ქუჩაზე, მიხეილ ძნელაძის ეზოში, თათარი ღრმა ორმოს თხრიდა. მახლობლად ძველი ფეხის ადგილი ყოფილა. უცებ ძველი ფეხის ადგილის კედელი ჩანგრეულა და იქიდან გამოვარდნილ სუნს თათარი გაუბრუებია. მისაშველებლად ორმოში ჩასულა იმავე უბნის მცხოვრები კოლა ბობოქაშვილი. სუნისაგან ისიც გაბრუებულა და ცოცხალ-მკვდარი ძლივს ამოიყვანეს. თათარს ვერაფრით უშველეს და ისე დაიხრჩო. შემდეგ მოვიდა გოროდოვოი № 16, ჩაება თოკი კისერში და ორმოდან ამოათრია.

ქალაქის საბჭო

ქალაქის საბჭოს ორ მაისის სხდომაზე, თავმჯდომარემ ქ. ა. ვერმიშევმა მოახსენა საბჭოს ტრამვაის საქმის ვითარება და ის ღონისძიებანი, რომელიც ამ საქმეში ქალაქის გამგეობამ მიიღო.

ამის შემდეგ საბჭო უნდა შესდგომოდა ხმ. ა. ბ. ევანგულოვის-მიერ წამოყენებულ საკითხს ტრამვაის ვაგონების მიმოსვლის შეჩერების შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ ურჩია საბჭოს, ამ საქმეს ტრამვაის დირექტორისა და მოსამსახურეთა-მიერ არჩეული საშუამავლო სასამართლო გაარჩევს, საკითხს გამოარკვევს და ჩვენ ამით გაგვიადვილდება მისი გადაწყვეტა, ისე რომ, გირჩევთ, საქმის დაბოლოვებას მოუცადოთო. ზოგიერთი ხმოსანი ამის წინააღმდეგი გახდა და თხოულობდა ამის შესახებ ტრამვაის მეთვალყურე კომისიის მოხსენება წარმოგვიდგინეთო. რადგან ეს მოხსენება დაბეჭდილი არ არის, საბჭომ გადასწყვიტა, დაიბეჭდოს იგი და განსახილველად მას წარედგინოს.

სხვათა შორის, საბჭომ მოისმინა წინადადება ქალაქის მოურავისა ქალაქის მიწების მოიჯარადრეების თხოვნის შესახებ, რომლებიც ამ მიწებს ყიდვით შეძენას თხოულობენ.

ნაძალადევისა და ლოტკის გორის მცხოვრებთ ამ საქმისთვის სამი კაცი ჰყავთ არჩეული. ქალაქის მოურავმა მიჰმართა ამ პირებს და წინადადება მისცა, თუმცა ქალაქის გამგეობაში თქვენი თხოვნა არის, მაინც გვითხარით კიდევ სიტყვიერად, რა გინდათ და როგორ გინდათო. ერთმა მათგანმა, ხოჯაევმა, მოახსენა საბჭოს: „როცა ჩვენ დავსახლდით ამ ადგილზე, ქალაქს იქიდან არავითარი სარგებლობა არა ჰქონდა. იქ არც საძოვარი იყო, არც ქვა, არც რაიმე ქარხანისთვის ვარგოდა. წინად ჩვენ ქალაქში ვიყავით ხიზნები, ჩვენ ვიყავით მუშა-ხალხი, ვცხოვრობდით სარდაფებში, ნესტიან სადგომებში, ჰაერი ჩვენ არა გვქონდა და ადგილი, რომ თავისუფლად ამოგვესუნთქა. აი, ამ გაჭირებამ გვაიძულა ჩვენ ქალაქ გარედ გავსულიყავით და, სხვას რომ თავი დავანებოთ, სუფთა ჰაერით მაინც გვესუნთქა. ამაზე, მე მგონია, თვით ქალაქის მამებს უნდა ეზრუნა, მაგრამ ეს იმათ არ მოაგონდათ და ჩვენ, თავს ჩვენვე მოვუარეთ. გავიმეორებ კიდევ, ქალაქს ამ ადგილებიდან შაურის შემოსავალი არა ჰქონდა, გავედით, დავსახლდით, გავაკეთეთ ფიცრულები და ხარჯების გაღებით ქალაქს ამ ჟამად ბლომად ფული შევმატეთ. ქალაქის მამები კი არ უნდა გვემდურებოდნენ, რომ ქალაქი გადავარჩინეთ მოარულ სენებისაგან იმით, რომ ჩვენ, გაჭირების გამო ბინძურად მცხოვრები მუშები, ქალაქს მოვშორდით, და მეორეც იმიტომ, რომ ქალაქს ფულით სარგებლობა მოვუტანეთ. ამ მიწებში არც კი გვკუთვნით, რომ ფასი გადაგვახდევინოთ, მაგრამ ჩვენ ამას არ გეუბნებით, ჩვენ გთხოვთ მოგვყიდოთ ის ადგილები, რომლებზედაც ახლა სახლები გვიდგას და იჯარას ვიხდით, რომ ჩვენს საკუთრებად დავინახოთ, შევკეთოთ ან დავაგირაოთ, ან ერთი ნაწილი მეორეს გასაუმჯობესებლად გავყიდოთ. ერთის სიტყვით, რომ ვიცოდეთ, ეს ადგილი ჩვენ გვეკუთვნის და არ გვეშინოდეს იმისა, რომ დღეს ან ხვალ ქალაქი ქოხებს თავზე დაგვანგრევს და გაგვყრის იქიდან. იმისი ნუ გეშინიანთ, რომ კაპიტალისტები მოგვატყუებენ ჩვენ, მიწებს შეისყიდიან და ყველა ეს ადგილები იმათ ჩაუვარდებათ ხელში. ის დრო გავიდა, როდესაც ადვილად გვატყუებდნენ, ახლა აღარც პატარები და აღარც ისე გაუგებარნი ვართო". ამ საკითხის განხილვის დროს ხმოსნები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ მიწების მიყიდვა თვით ნაძალადევლებისათვის სასარგებლო არ იქნება, რადგან მათ ადგილებს მსხვილი კაპიტალისტები ჩაიგდებენ ხელში, გააშენებენ 2—3 სართულიანს სახლებსა და ჰიგიენის მხრივ ნაძალადევს უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდებენ, რაც მცხოვრებთათვის სასურველი არ არის და სხვადასხვა. ხმოსნების მეორე ჯგუფი კი იმ აზრისა იყო, რომ ეს ადგილები უნდა მიჰყიდონ მოიჯარადრეებს, რადგან ეს თერთმეტი წელიწადი იქნება, რაც ნაძალადევისა და ლოტკის-გორის მცხოვრებნი ამას თხოულობენ და მათ ტანჯვა წვალებას საზღვარი უნდა ჰქონდესო.

კამათი გაგრძელდა ღამის 1 საათამდე. ბოლოს ამ საკითხს კენჭი უყარეს. საკითხი იყო დაყენებული ამგვარად: ქალაქმა მიჰყიდოს თუ არა ნაძალადევისა და ლოტკის გორის მცხოვრებთ ის ადგილები, რომელზედაც მათ ამჟამად სახლები უდგათ და ადგილის იჯარას ქალაქის სასარგებლოდ იხდიან.

აღმოჩნდა, რომ 26 მიიღო ეს წინადადება, 19 კი წინააღმდეგი იყო. მაგრამ, რადგან, ქალაქის თვითმართველობის წესების ძალით, ამგვარი საკითხი უნდა გადასწყვიტოს ხმოსანთა რიცხვის ორმა მესამედმა, ეს საკითხი ისევ იმ მდგომარეობაში დარჩა, როგორც იყო.

ნაძალადევისა და ლოტკის გორის მცხოვრებნი გულდაწყვეტილნი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

რუსეთი

26 აპრილს პეტერბურგში, ქალაქს გარედ, **მუშათა მიტინგი მოხდა.** მიტინგს რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. ყველა ორატორი აცხადებდა,—ჩვენ, მუშები, ქალაქს გარედ, ქუჩებსა და სხვადასხვა დარბაზებში მშვიდობიან მანიფესტაციებსა და მიტინგებს მოვახდენთო. მუშათა დადგენილებაში ნათქვამია, დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრება უნდა იქმნას მოწვეული; საარჩევნო უფლება უნდა იყოს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული; ომი ეხლავე უნდა შესწყდეს და დაწესდეს 8 საათის სამუშაო დღე. ორატორები თხოულობდნენ, სხვადასხვა პროფესიონალურ კავშირებს მიემართათ და ეცადონ, რომ პოლიციამ არავითარი ძალა არ იხმაროსო (რ. ვ.).

✦ გადაწყვეტილი იყო, ციმბირის რკინის გზაზე მეორე ლიანდაგი გაეყვანათ და ამისთვის 300 ინჟენერი გაეგზავნათ. ლიანდაგის გასაყვანად სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში 50 მილიონი მანათიც შეიტანეს. მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, ამ აზრს თავი დაანებეს. ამ წელს კი არ გაიყვანენ მეორე ლიანდაგს და შემდეგ რა იქმნება, არ იციან (რ.).

✦ მიტავაში **ხალხი ძალიან აღელვებულია.** ყოველ-დღე დემონსტრაციები გაფიცვა და მკვლელობა ხდება. 23 აპრილს დიდი დემონსტრაცია მოხდა. კაზაკებმა ჩვეულებრივ ზომებს მიმართეს და ხალხი გაფანტეს. 25 აპრილს ურიადნიკი მოჰკლეს (რ.).

✦ ბესარაბიისა, ტამბოვისა, ხერსონისა და ხარკოვის გუბერნიებში გლეხთა მოძრაობა ძლიერდება (ნ.).

✦ 27 აპრილს იაროსლავში **გარდაიცვალა ცნობილ დეკაბრისტის ივანე იაკუშკინის შვილი** - ევგენი იაკუშკინი. განსვენებული ცნობილი პუბლიცისტი და სახელმწიფო უფლებათა (государственное право) მცოდნე იყო (რ.).

✦ 18, 19 და 20 აპრილს კალიშში **დიდი დემონსტრაციები მოხდა.** 18 აპრილს, ღამე, ქალაქის ბაღში დემონსტრანტები შეიყარნენ. კრების შემდეგ დემონსტრანტები ყვირილით, სარევოლუციო სიმღერებითა და რევოლვერების სროლით ქალაქის მთავარ ქუჩებისკენ გაემართნენ. რადგან პოლიციამ წინდაწინვე იცოდა, რომ ბაღში კრება იყო, ამიტომ ჯარი დაიბარა, დემონსტრანტებს გზები მოუჭრა და შუაში მოიმწყვდია. სიბნელეში სროლა ასტყდა. დემონსტრანტებმა მოახერხეს და პოლიციის თავი დააღწიეს. 19 აპრილს ხმა გავარდა, პოლიციამ კათოლიკეთა ეკლესიის თოფები დაუშინა, წაბილწა და სხ. ამ ამბავმა მთელი ქალაქი აადელვა. იმავე დროს გუბერნატორმა ქალაქში განცხადება გააკრა: მართალია, ეკლესია დაზიანდა, მაგრამ ვინ დააზიანა, პოლიციამ თუ დემონსტრანტებმა, ამის გამოკვლევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელიაო. საღამოზე ეკლესიასთან ურიცხვი ხალხი შეიკრიბა. წირვის შემდეგ ხალხი ორ ჯგუფად გაიყო: ერთი ჯგუფი წმ. იოსების ძეგლთან მივიდა, მერე—სარევოლუციო სიმღერებით ქალაქისკენ გაემართა. მლოცველებს, გუბერნატორის ბრძანებით, ხელი არ ახლეს, დემონსტრანტები კი, მცირე შეტაკების შემდეგ, გაჰფანტეს (ს. ო.).

✦ ჟიტომირში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შესახებ პეტერბურგში შემდეგი ცნობები მიუღიათ: 1) ჯერ-ჯერობით გამოირკვა, **რომ 40 კაცი მოიკლა და 100 დაიჭრა.** რამდენია მათ შორის ებრაელი, არ იციან; 2) ქალაქის დაცვა დივიზიის გენერალმა იკისრა. არეულობა ქალაქის განაპირა ადგილებში ჯერ არ შეჩერებულა. ეშინიათ, რამდენისამე დღის შემდეგ ხულიგანები ხელმეორედ დაეცემიან ებრაელებსაო; 3) 26 აპრილს, დილით, ჟიტომირში ომიანობის დროის წესები შემოიღეს. 27 აპრილს დახოცილთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდები გადაიხადეს. ქალაქში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა (რ. ვ.).

✦ ვარშავის გუბერნიაში, დაბა გოსტინაში, **ებრაელები აუკლიათ.** ბევრი სახლი აიკლეს და დაანგრიეს. დაჭრილები და დახოცილებიც არიან. ერთი ქალი მხეცურად აწამეს (ს. ო).

✦ მელიტოპოლში მომხდარ **აკლების დროს მოკლულ იქმნა 75 კაცი.** დაჭრილთა რიცხვი არ იციან. დახოცილთა შორის სალდათებიც არიან. სახლების სახურავებიდან და აივნებიდან ჯარს ყუმბარებს ესროდნენ. სალდათები თოფებს ხმარობდნენ. ჯარს ხულიგანები უჭერდნენ მხარს და იმ სახლებს, საიდანაც რევოლვერებს ისროდნენ, საძირკვლიანად აქცევდნენ. სახლებს ლომებით ანგრევდნენ და მცხოვრებთა წივილ-კივილი ცასა სწვდებოდა. ბევრი უდანაშაულო ქალი, კაცი და ბავშვი გამოესალმა წუთი-სოფელს (რ. ვ.).

✦ მელიტოპოლის ამბების შესახებ „ბირ. ვედ."-ს სწერენ: იალტაში მომხდარ არეულობის შემდეგ ცხადი იყო, რომ მელიტოპოლიც უნდა აეკლოთ. ამის შესახებ ყველგან დაუფარავად ლაპარაკობდნენ. პოლიცმეისტერს ესმოდა, რომ პოლიცია ვერას გაარიგებდა და ქალაქის თავთან ერთად გუბერნატორს სთხოვა, ერთი როტა ჯარი მაინც მომაშველეთო. კერძო კრებებზე მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს, თავის დასაცველად უნდა მოვემზადოთო. 25 აპრილს, როცა მელიტოპოლში ნახევარი როტა ჯარი მოვიდა, ქალაქის საბჭომ გუბერნატორს სთხოვა, ნახევარი როტა ვერას გაარიგებს და ჯარი კიდევ გამოგვიგზავნეთო. პოლიცმეისტერმა გუბერნატორს ორჯერ შეატყობინა, პასუხის გებას ვერ ვკისრებ, რადგან ჯარი არა მყავსო. ამის გულისთვის გუბერნატორისაგან ორ-ჯერ გაკიცხვაც მიიღო და სამსახურიდანაც გადადგა (რ. ვ.).

✦ „ნოვოსტის" ატყობინებენ: დუსაუტაში ხულიგანებმა 40 მაღაზია და 20 სახლი გაანადგურეს. დაიჭრა და მოიკლა 15-მდე კაცი (რ.).

✦ მინსკის პოლიცმეისტერი მღვდლად აკურთხეს (რ. ს.).

✦ სმოლენსკის გუბერნიაში, დაბა იარცოვოში, ადგილობრივ ქარხნის მუშებმა(?)**ებრაელების მაღაზიები დაამტვრიეს** და გაძარცვეს (რ.).

✦ კოვნოს გუბერნიაში **ებრაელების აკლებას დღე-დღეზე ელიან** (რ. ვ.).

✦ პეტერბურგის კადეტთა კორპუსებში, მთავრობის განკარგულებით, დაარიგეს წერილი ვინმე „პატრიოტ" პავლოვისა, რომელიც მთელ რუსეთს შინაურ მტრებთან, ინტელიგენციასთან, და სტუდენტთან საბრძოლველად იწვევს და ურჩევს, **ყველამ იარაღი აისხით,** თორემ მერე გვიან-ღა იქმნებაო (რ. ვ.).

✦ მინსკში, 26 აპრილს, **მუშებმა დემონსტრაცია მოახდინეს.** საღამოს 6 საათზე რამდენიმე ათასი კაცი „ურა"-ს გრიალითა და რევოლვერების სროლით მთავარ ქუჩაზე გამოვიდა. გზაზე საპოლიციო ზედამხედველი გადაეღობა, მაგრამ ორგან იქმნა დაჭრილი და თავს უშველა. მუშები კარგა ხანს ხმაურობდნენ, მერე კი დაიშალნენ. ამ დროს ქუჩაში მოსიარულე ხალხს დრაგუნები და კაზაკები შემოერტყნენ და სასტიკად დასაჯეს უდანაშაულო ხალხი. (რ.).

✦ აღდგომის ღამეს სერბენში (რიგის. გუბ.). **დემონსტრაციები გაიმართა.** ხალხმა წინდაწინვე დაწყვიტა ტელეფონი და ტელეგრაფი. აღდგომა დღეს ეკლესიასთან ათასი გლეხი შეიკრიბა, გლეხებმა წითელი დროშა აუშვეს და სარევოლუციო სიმღერებით ერთ გორაკისკენ გაემართნენ. იქ ორატორებმა კარგა ხანს ილაპარაკეს და ხალხს საბრძოლველად იწვევდნენ. ხალხის დასაფანტავად 5 ურიადნიკი გაჰგზავნეს, მაგრამ იმათ ხალხთან ახლო მისვლაც ვერ გაბედეს. ჯარის გამოწვევა შეუძლებელი იყო, რადგან ტელეფონი არ მუშაობდა. აღელვებული ხალხი რამდენისამე საათის შემდეგ დაიშალა (რ. ვ.).

✦ სერბენში (რიგის გუბ.) სასოფლო კანცელარიებსა და სხვა ადგილებში გუბერნატორის განცხადებანი გააკრეს. გუბერნატორი ხალხს აფრთხილებდა, აგიტატორებს ნუ უჯერებთ, თორემ დაგღუპავენო. მეორე დღეს ყველა ამნაირ განცხადების გვერდით სარევოლუციო პარტიის განცხადებანი იყო გაკრული (რ. ვ.).

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

3 მაისი.

ტოკიო. ნორვეგიულ გემს, მაჟიდან მოსულს 29 აპრილს, წინა ღამეს ზარბაზნის გრიალი გაუგონია ზღვაზე [illegible] შეუნიშნავს. დილის 4½ საათზე იაპონიის ნაღმოსანი უნახავს, იქითკენ მიმავალი, საიდანაც სროლა ისმოდა. დამტკიცებულია, რომ ბალტიის ესკადრამ უმავთულო ტელეგრაფი გამართა საფრანგეთის სამფლობელოში და იქიდან საიგონით ურთიერთობა აქვს პეტერბურგთან.

საიგონი. ადმირალი ჟონკიერი დეპეშით იუწყება ნატრანიდან, მოვიარე მთლად სანაპირო ნავთსადგურები ტუნანიამდე და ვერც ერთი რუსეთის გემი ვერ შევნიშნეო.

საიგონი, 2 მაისი (საკუთ. კორესპ.). ნებოგატოვის და როჟესტვენსკის ესკადრები შეერთდნენ.

ხარბინი. უცხოელი კორესპონდენტები და სამხედრო აგენტები. მანჯურიიდან ნავთსადგურებისკენ მიდიან, ზღვის ომით დაინტერესებულნი.

ჰონკონგი. გერმანელთა გემის კაპიტანი, რომელიც სანდაკანიდან მოვიდა, ამბობს, ბორნეოს ჩრდილო ნაწილის გუბერნატორს 26 აპრილს აცნობეს, რომ ცხრა ჯავშნოსანი გაიასთან არის გაჩერებული, ლაბუანის ახლო, ხოლო არ იციან, ვისი გემებია. აქ ფიქრობენ, ბალტიის ესკადრა კუნძულ სენ-ჯონ-თან უნდა იყოს, ჰონკონგიდან 90 მილის სიშორეზე. 12 სამხედრო გემი 1 მაისს საღამოს უნახავთ ჰონკონგთან. გემები გაჩქარებით მიდიოდ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. საშიში მდგომარეობაა. ბრძოლას ყოველ დღე მოელიან.

ტოკიო. ამბობენ, რუსის გემებმა უკანასკნელ 30 დღეში 120 ათასი ტონი ნახშირი დასწვესო; სად იშოვეს ამოდენა ნახშირი—საიდუმლოა.—ზღვათა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ბალტიის ესკადრა ხანკოვეს ნავთ-სადგურში დაბრუნდაო.

კოსტრომა, 3 მაისი. საღამოთი ბულვარზე მანიფესტაცია მოახდინეს სხვადასხვა სასწავლებლის მოწაფეებმა და ხალხმა, მიმოჰფანტეს პროკლამაციები და რუსინოვის ქუჩისკენ გაემართნენ, სადაც შეჩერებულ იქმნენ ხმალ-ამოღებულ პოლიციელთაგან. დაშავდა რამდენიმე კაცი. არავინ მომკვდარა.

პარიჟი, 2 მაისი. დეპუტატმა დაზმა მოითხოვა სახაზინო სკოლებში სახმარებლად შემოღებულ მასწავლებელ ერვიეს სახელმძღვანელოს აკრძალვა, რომელშიაც მამულის მოყვარეობის წინააღმდეგი აზრებია გამოთქმული. რუვიემ ამის საპასუხოდ სთქვა, მთავრობა დემოკრატიის კულტს მამულთ-მოყვარეობის კულტისაგან არ აცალკევებს და არ მოსწონს ის მოძღვრება, რომელიც სამშობლოს ძირს უთხრისო. ამის შემდეგ პალატამ დაიწყო სახელმწიფოსგან ეკლესიის განცალკევების შესახები კანონპროექტის განხილვა.

პეტერბურგი. „სლოვო" იუწყება, უწმ. სინოდის პროკურორის ამხანაგი საბლერი სახელმწიფო რჩევაში გადაჰყავთ. მის ადგილს, ამბობენ, შირინსკი-შიხმატოვს ამწესებენო.

კანეა, კრიტოსზე მღელვარება მეტად გამწვავდა. კონსულების პროკლამაციამ ხალხი ვერ დაამშვიდა. აჯანყებულები კანეას უახლოვდებიან, სადაც ჯარია შეკრებილი, თხოულობენ პრინცის გიორგის მდივნისა და სხვა მოხელეების სამსახურიდან დათხოვნას.

ბაქო. სამრეწველოში გაფიცვა გათავდა. გუშინ ტრამვაის ვაგონებს მიმოსვლის დროს ჯარის-კაცები იცავდნენ. სასტუმროებში მოსამსახურეები ჯერაც არ შესდგომიან საქმეს. კუზმინსკის კომისია ყოველ განცხადებას იღებს; განცხადების მიმცემი არავითარ პასუხს არ აგებს. დღეს ადგილობრივი გაზეთები გამოვიდნენ. რაც გაფიცვამ გაიწია და ნავთის ამოწურვამ იკლო, ნავთის ფასმა 15½ კაპეიკამდე აიწია.

ტვერი. მაისის პირველმა მშვიდობიანად გაიარა. ქალაქს გარედ დემონსტრანტების ჯგუფს ქარხნებში მომუშავენი შეუერთდნენ, წითელი დროშა ამართეს და ტვერის მანუფაქტურის ქარხნისკენ გაემართნენ. მუშები მიეგებნენ და ქარხანაში არ შეუშვეს. შეტაკების დროს სროლა ასტყდა, ერთი მუშა მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. ერთი დემონსტრანტთაგანიც—ნაფიც ვექილის თანაშემწე დაიჭრა.

კიევი, 2 მაისი. დილის 10 საათზე ახალ-გაზდობის ჯგუფი, როგორც ეტყობოდა, მომუშავეთაგანი, კიევის მეორე სადგურის ქარხნებში შეიჭრა, და ზარის ნიშანი მისცა. მუშაობა შესწყდა მაგრამ რკინის გზის მოხელეებმა და მომუშავეებმა გაფიცული ჯგუფი გაფანტეს. გაფიცულები დნეპრისკენ გაიქცნენ. ვლადიმერის ძეგლთან ერთბაშად მომუშავენი მრავლად შეგროვდნენ. გაისმა ხმა „წავიდეთ, ძმებო". ამავე დროს რევოლვერიც გავარდა. მალე პოლიცია მოვიდა და მომუშავენი გაფანტა. გუშინ გაიფიცნენ მებულკეები და პურის მცხობლები. ბაზარში პური და ბულკი არ იშოვება.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი-

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 3 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.